

# დალისტნიდგან ლეკების გამოსვლა და სხვა ამბები

ალ. ვახტ.-ძე ჯამბ.-ორბელიანისა.

გამოცემული სარგის კაკაბაძის მიერ

წერაკითხვის საზოგადოებაში დაცულ ავტოგრაფის მიხედვით.

ტფილისი  
ბართლომე კილაძის სტამბა  
1914

დალისტნიდგან ლეკების გამოსვლა ახალ-  
ციხეში და სხვა ამბები.

ალ. ჯამბ. ორბელიანისა.

წარსრულს ერთს ჩემს წერილში ვთქვი: ერთხელ როდისმე დავწერ, საიდგან როგორ მოდიოდნენ საქართუწლოზედ ლეკ ოსმალები მეთქი, რ~ლმაცა შემთხუწვა ვიპოვე და მოვეყვე პირობის აღსრულებას.

დალისტანსა და ახალციხეს შუა შემოსული ჯარი საქართუწლოში, ახალციხეს გასავლელად დალისტნიდგან რასაკვირველია ძნელი იყო, თითქმის შეუძლებელი, მაგრამ შეუძლებელი ადვილი შესამძლებელი შეიქნა, დალისტნის ჯარების ქურდულად შემოსვლა საქართუწლოში და საქართუწლოდგანვე ქურდულად გასულა ახალციხეში. თუმცა ადრიდგანვე მეფის თეიმურაზის მეორისა და იმის ძის მეფის ირაკლიმდისინ ეტანებოდა ლეკი საქართუწლოს, მაგრამ არა ისე თავმოხელებით, როგორც ამ მეფეების დროსა. მიზეზი ამისი ეს იყო: 1724-სა წელსა ოსმალომ რომ ჯარები შემოიყუანა საქართუწლოში საქართუწლოს დასაპყრობლად, აი აქედგან დაიწყო ოსმალ ლეკებისაგან საქართუწლოს გაოხრება, რ~ლმაცა იმავე წელსვე სომხით ქართლი დაიჭირა და კახეთისაკენ გაიმართნენ დასაპყრობლად \*) ლეკების წინმორბედობით, სადაც ჩავიდნენ და ქიზიყიც დაიჭირეს.

მაგრამ ამ დროს მეფე თეიმურაზ მეორე კახელებით დაესხა და ძალიან გაიმარჯუა ოსმალებზე. ამით რომ ვერა გახდნენ რა ოსმალები და კარგა ხანიც გამოვიდა, ბოლოს ჭარბელაქანში მოუყარეს თავი დალისტნელებს, იმათვე დიდი შემწეობა მისცეს საქმის დაწყობითა და ამათის შემწეობით ისევ დაიჭირეს ქიზიყი და კავკასიის ძირი, კახელებიც დაიპყრეს სრულად. ამის გამო მეფე თეიმურაზ

---

\*) ამ წელს ქართლის მეფე ვახტანგ რუსეთისაკენ წავიდა, საქართუწლოზე კელი აიღო, მინამ ოსმალები შემოვიდოდნენ.

რაზ ვეღარ დადგა კახეთში და ფშავის სიმაგრეებში დაიხიზნა. ზევითი კახეთი კი თელავის მხრისა დიდი და პატარა სულ სიმაგრეებში შევიდნენ და ყოველი შემოსასვლელი ადგილები გაამაგრეს. მაშინდელი ზევითი კახელების სახელი დაუვიწყარი იქნება მარადის. წამხდარი ქიზიყი და კავკაზიის ძირი კახელები კი დამორჩილდნენ. დამორჩილებაზე ვილა რას იტყვს, სარწმუნოებაც შეიცვალეს გლეხებმა თავადაზნაურების გარდა, რ~ლებიცა ვერაფრით ვერ გადიბირეს ოსმალების მეტყუწლებმა.

ამ დროებში ბატონიშვილი ირაკლი (შ~დგ მეფე) ფშავიდგან ალავერდში ჩამოვიდა და აქედგან დაეხმაურა ქიზიყ კავკაზიის ძირის კახელებსა, რ~ლებიცა აღარ დამორჩილდნენ მტერსა და ბოლო დროს კიდევ გაიყუანეს თავის მამულიდგან. თუმცა ისტორია მეფე ირაკლიზედ სხუა რიგათ ამბობს, მაგრამ მე ეს ასე ასეთებისაგან

ვიცი, რომ ეს უფრო მჯერა — ფშავიდან ალავერდში გადმოსვლა ირაკლისა. ამისთანა კარგი საქმე აცნობა თავის მამას მეფე თეიმურაზს, რა ლიცა მაშინვე ჩამოვიდა ხიზნით და თელავში დაჯდა კიდ მეფედ, სადაც შეიკრიბნენ დახიზნულნი ყოვლის მხრიდან და სოფლები ისევ ისე გააშენეს როგორც იყო, მაგრამ ქ. ტფილისში ოსმალებმა ეს არ დასთმეს, ჭარბელაქნელების და დაღისტნის ჯარები შეიყარეს ალაზნის პირზე ამ განძრახვით, რომ ქიზიყი დაემხოთ. მინამ სრულად ეს ჯარი შეიყრებოდა, რამდენიმე დასტა წამოვიდნენ, ქიზიყის ბოლო მოარბიეს, ტყუე საქონელი წაიღეს და კარგის დავლით მივიდნენ თავის დიდს ჯარში, მაგრამ ამ დროს ზედატანებით მეფეს თეიმურაზს მოხსენდა: ალაზნის პირზედ დიდი ლეკის ჯარი იყრება ქიზიყის წასახდენათაო. მაშინ ირაკლი თხუთმეტის წლისა საჩქაროთ ამხედრდა ზევითი კახეთისა ჯარით და ქიზიყში ჩაიჭრა. მტრისგან შემრწუნებულებმა რა ქიზიყელთ ესე ნახეს ამ პატარა ბატონიშვილის გაგულისება მძლავრსა მტერზედ, დიდი და პატარა ვინც კი ჰელის გამომავალი იყო, ყუჭლანი ცხენთა გაუსხდნენ ირაკლის და ალაზნისაკენ გასწიეს. იმ ომში დამსწრეთ ვისთვისაც უანზიათ იმ ომის ამბავი, მეც იმათგან გამიგონია ასე: „პატარა ბატონის ირაკლის ჩასვლა რომ გაუგონიათ ქიზიყში, დედაკაცებს კაცებისათვის აღარ დაუცლიათ, იმათ გამოუყუანიათ ცხენები და იარაღიც იმათვე შემოურტყამთ ქმრებისათვის, ამ სიტყვით: „წადით, დაიხოცენით მამულისთვის, დღეს თუ ხუალე სულ ერთია სიკვდილიო, იახელით პატარა ბატონს ირაკლის და იმის წინ დანთხიეთ თქუწნი ერთი მუჭა სისხლიო.“

ნეიშინის მინდორი იყო პირუჭლი ომის მოწამე პატარა ირაკლისა, რა ლთაცა ამასთან ესეც უთქუამსთ:

პირუჭლად ოსმალ ლეკების ჯარი რომ დაუნახამთ ქართულებსა, ბევრით ქართულებზედ მომატებული, შეშინებულან: დედის ერთას ირაკლისა მოგვიკვლენო. ასე ელაპარაკათ პირუჭლ კაცებს ერთმანეთში. მაგრამ ყმაწვილის ირაკლისათვის და იმის დამშვიდებულის ლამაზის სახისათვის რომ შაგეხედათ, ბედაურს ცხენზედ მკერდ გამოჭიმულისთვის, რა ლსაცა თუალი მტერზედ ეჭირა და უშიშრათ შეჰყურებდა იმათ, მოწყენილობა გულიდან გადაგუწყარა და მაშინვე გავსწორდით ცხენებზედაო. ბოლოს ჩუწნკენ მოიხედა და ესეც რომ გვითხრა: დღეს აქ უნდა დავიხოცნეთ ამ ნეიშინის მინდორზედ, ან გამარჯულებული გამოვიდეთო. ამ სიტყუამ ხომ ერთი კაცი ათი გაგვხადა და ერთიანათ დავიძახეთ: „დედა შეერთოს ცოლათ, ვინც აქედგან უსიკვდილოთ წავიდეს შინ, თუ არ გავიმარჯვებთო“.

თუ არ დიდ გაჭირებაში, ასე ადვილათ არ დაიფიცავდნენ უწინდელი ქართულები და როდისაც ამას იტყოდნენ, ან თავი უნდა გაეტანათ ან არა და უთუოთ გაწყუჭტილიყვნენ. ბევრი მაგალითიც მომხდარა, რომ სრულებით გაწყუჭტილან, ერთი ქართუელი ჯარისკაცი ცოცხალი აღარ დარჩენილა. ამ სიტყუასთანვე შეუტე-

ვინ იმთენის ჯარისთვისა გულთამამად, მაგრამ ისინიც მაგრა და-  
ხუჭდრიან, სადაც ხმალ და ხმალი კაფა მომხდარა და ქართუჭლებს  
გასჭირებიათ იმთენის ჯარის პირდაპირობა. ირაკლის რომ ეს უნა-  
ხავს, თვითონ თავის დასით დასძგერებია იმათ შუაგულში და ტორ-  
ტმანით წაუყვანიათ უკან. მეორეთ უფრო შიგ შეჭრილა იმათ შუა-  
გულის ჯარში და აქ ასე დაუმარცხებიათ გათამამებული და დარწ-  
მუნებული მტრის ჯარი: უთუოთ იმ ცოტას ქართუჭლებსა ასე გა-  
ვწყვეტო, მოამბეც ველარ წავიდეს შინაო. ნაცვლად ამისა თვთ ისი-  
ნი ასე დამარცხებულან, რომ ვინ წინა და ვინ უკან. ომიდგან გა-  
მობრუნებული ქართუჭლები მოსულან და დიდის სიხარულით მო-  
ულოცნიათ გამარჯულება ირაკლისათვის.

ეს პირუჭლი ომი ირაკლისა ასეთი განმამდიერებელი იყო  
ქართუჭლებისა, რომ ველარსად ველარ შეიკავებდა მტერი თავსა,  
თუ ირაკლი იქ იყო, მაშინვე დაამარცხებდნენ. არამც თუ ირაკლი

— 4 —

იქ იყო ხოლმე — მტრის წინამძღომელი რომ გამოიხედავდა და ირა-  
კლის ბაირახს იცნობდა, იმათ დასამარცხებლად იმის ბაირახიც სა-  
კმაო იყო.

ამ ირაკლის გამარჯულებასა ნადირშაც ზედ მოესწრა და ოსმა-  
ლები საქართუჭლოდგან გაიყუნა. თუმცა ოსმალებმა საქართუჭ-  
ლო დაცალეს ნადირშამაც მეფე თეიმურაზს და იმის შვილს ირაკ-  
ლის საქართუჭლო მოსცა და თან დიდი შემწეობა თავის ჯარები-  
თა, მაგრამ ამასთან ასეთი ხარკი დასდო საქართუჭლოს, რომ დიახ  
დასამძიმებელი როგორც ოსმალებისა. ვაის გავეყარე, ვუის შევე-  
ყარეო. მაგრამ ამ ხარკს ვილა დასდევდა, რაც უნდა დიდი ხარკი  
დასდებოდათ ქართუჭლებსა, ფიქრი არ იყო, ასე რიგათ თავგამო-  
დებით ეწეოდა საქართუჭლოს ნადირშა, მაგრამ შინაურმა მტერმა  
გააჭირა, დიდი უბედურობა დამართა საქართუჭლოს. ბოლოს წაიკვი-  
თხავთ მეფის ვახტანგის მცირეს ამბავში.

მარტო ნეიშინის მინდორზე გამარჯულება რა სარგებლობას მოს-  
ცემდა, ანუ როგორ გამოიხსნიდა საქართუჭლოს, მაგრამ მაინც  
იყო რამე შემწეობა საქართუჭლოსი. პატარა ირაკლიმ ესენი ცხა-  
დათ დაინახა. მაშინვე ხანი რომ აღარ გამოსულიყო, კარგი კა-  
ცები გაუგზავნა ჭარბელაქნელებსა, ქართუჭლების და იმათი გაერ-  
თება შეუთვალა, მაგრამ ნაცვლად ამისა გაგზავნილს კაცებსა უკან  
ჯარი მოაყოლეს ლეკებისა და ირაკლიზედ მოუშვეს. ირაკლიმ ესე-  
ნიც დაამარცხა, მესამე და სხუჭბიც უფრო ძალიან, მაგრამ მაინც  
კიდევ არ გაუერთდნენ ქართუჭლებსა ჭარბელაქნელები. ჭარბელაქ-  
ნელებთან რომ ვერა გახდა რა ირაკლი, მასუკან მთების ხალხსა,  
დიდოელებს და აწუხელთ გაუგზავნა კაცნი ერთობისა, რ`ლთაცა  
დიდის სიამოვნით მიიღეს, მაშინვე პირუჭლი კაცები გამოუგზავნეს  
და ერთობა მოახდინეს. შ`დგომ აღარც უღალატებიათ საქართუჭ-

ლოსოვს იმათ მეფის გიორგის მეფობამდისინ. დიდოელებში და ან-  
წუხელებში დღესაც თურმე იპოება მეფის ირაკლის წიგნები წყა-  
ლობისა. რამდენჯერ შეყრილან დალისტნის ჯარები, მოუნდომიათ  
რომ დიდოებზედ და ანწუხელებზედ გადმოვიდნენ და კახეთი სრუ-  
ლიად წალეკონ, მაგრამ არც ერთხელ არ გამოუშვიათ. მართლა  
იტყვან: ბარში დაკარგულსა ჭკუასა მთაში იპოვიო. ეს როგორ-  
ღაც მართალსა ჰგავს ჭარბელაქნელებზე. მინამ მეფე ირაკლი ცო-  
ცხალი იყო, ყოვლის ღონით დაუცხრომელად ცდილობდა, რომ  
ჭარბელაქნელები როგორმე გაეერთა, ან როგორმე შეერიგებინა,

— 5 —

მაგრამ არა ეშველა რა. მაინც კიდევ უკანასკნელად თავის მოხუცე-  
ბულობაში \*), აღამამადხანის მოსვლის ოთხის წლის წინათ პირ-  
უშლის ოჯახებიდგან მოხუცებული კაცები, შუახნისა და ყმაწვი-  
ლები თუთხმეტ თუთხმეტი წლისა ან ცოტა მეტნაკლებნი მოიპა-  
ტიჟა ჭარბელაქნიდგან სიღნაღში და კარგათ დაუხვდა. სადილ უკან  
თვთვეულად ყუჭლას ხალათები უბოძა და ამასთან ლაპარაკი და-  
უწყო ასე:

— ჩემის ყმაწვილობით აქამდისინ არ დავმცხრალვარ თქუწნ-  
სა და ქართუწლების გაერთებასა, მაგრამ ვერაფრით ვერ შევიძელ,  
ყოველი ჩემი ღონისძიება დავასრულე თქუწნზე. არ არის კარგი,  
არ უნდა შვრებოდეთ ამას, რომ თქუწნი ძმები ქართუწლები გა-  
მოგიმეტებიათ, გინდათ ძირიანათ ამოთხაროთ და ჩუწნ მაგიერთ  
ოსმალეები დაასახლოთ საქართუწლოში. ამისთანა საძაგელსა საქმეს  
არც ერთი გუარი არა იქს არსად ქუწყანაზედ, თქუწნა ხართ ამი-  
სი პირუწლი მაგალითი. თუ სარწმუნოებას იტყვთ, თქუწნ მაჰმა-  
დიანები ხართ, ოსმალეებთან ერთი თანა მორწმუნე, ეს დიახ კარ-  
გი, ვინ შეეხება თქუწნს სარწმუნოებასა? ვინც კი თავის სარწმუ-  
ნოებაში აღზდილია, იყავით იმ სარწმუნოებაზედ და ჩუწნც ვიქნე-  
ბით იმისი პატივის მცემელი ჭემმარიტად\*\*). კარგათ დაიხსომეთ,

---

\*) ეს მაშინ იყო, ქ. ტფილისში იმერეთიდგან დესპანები რომ მო-  
უვიდა მეფეს ირაკლისა: იმერეთი მიიღე და საქართველოს შეაერთეო. ამა-  
ზედ მეფე ირაკლიმ და იმერეთის დესპანებმა პირობა რომ დადეს, მასუ-  
კან მეფე ირაკლი სიამოვნით სიღნაღში წავიდა და იქ ჭარბელაქნიდგან  
პირველი ოჯახის შვილები დაიბარა და ახლა იმათ ელაპარაკა ერთობაზედ.

\*\*) ერთ დილა ადრიან მეფე ირაკლი წამოდგა და მოაჯირზედ სია-  
რული დაიწყო. ამ დროს მეფის საყუარელი და ერთგული მოსამსახურე  
ქურდაშვილი და ერთი სასახლის თათარი შესიტყვდნენ და გაფიცებულმა  
ქურდაშვილმა უთხრა: შე რჯულ ძაღლო თათარო. ამ სიტყუაზედ მეფე  
ირაკლი გადმოდგა და დაუძახა: როგორ ქურდიშვილო? — ქურდაშვილი შე-  
შინებული დადგა. დაიძახა: „ნემსი მოიტანეთ, ენა გამოაყოფინეთ მაგ ქურ-  
დაშვილს და თვთო ნემსით ენა დუჩხვლიტეთ, რომ მაგ ენამ აღარ გა-  
ბედოს მაგუარი“. ენა გამოაყოფინეს, თვთო ნემს ჩაჰკრავდნენ და მასუ-  
კან გადაადებდნენ. გადმოსდიოდა საწყალს სისხლი. მინამ ის ნემსები არ

შეალიეს, არ მოეშო, მერე უბრძანა: „კარგად უნდა იცოდეთ, როგორც შენ

— 6 —

რასაც მე ეხლა გეუბნებით, თუ ამ ჩემს რჩევას გაიგონებთ, თქვენ ბედნიერი იქნებით და ჩუწნ ქართულებიც და თუ კიდევ ასე მოჰყუწბით, როგორც აქამდისინ აოხრებდით და აოხრებინებდით საქართუწლოს ოსმალებსა, უნდა კარგათ იცოდეთ, თქუწნი შვილები, ანუ თქუწნი შვილიშვილები ასეთს ვაებში ჩაცვივდებიან, რომ თქუწნი დედაკაცები მწარედ ტიროდნენ, გლოვა და თავში ცემა ჰქონდესთ და მშუწლელი კი აღარავინ იყოს იმათი. ამისთანა უწყალოება მოივლინება იმათზედ, ეს კარგათ იცოდეთ. მე რომ ეხლა მოხუცებულები შუახნის კაცები და ყმაწვილები მოგიპატიუეთ, მიზეზი ეს არის რომ მოხუცებულებმა ურჩიოთ თქუწნს ჯამათს, დასცხრენ, ნუღარ მოდიან ჩუწნზედ, ნუღარც ოსმალებს მიეკარებიან და ჩუწნთანაც გაერთდნენ ერთ ძმათა. თქუწნ შუახნისას კი ამას გეუბნებით, თვთონ თქუწნა ხართ ამღელებელი მთელი თქუწნი ხალხისა ჩუწნზედ. გეუბნებით, კარგია, ამდენს ავკაცობაზედ ხელი აიღევით, თორემ ბოლო დროს ჰარბელაქანი ინანებს. მე ეს წინათვე მიწინასწარმეტყუწლებია თქუწნთვს და თქუწნ, პატარა ყმაწვილებო (მასუკან იმათ მიუბრუნდება), ამას თქუწნ ნუ დაივიწყებთ, თუ ამ ჩემს სიტყუას ესენი არ დაისწავლიან და კიდევ თავისებურათ მოჰყუწბიან ჩუწნზედ, მაშინ მამიგონეთ, როდისაც თქუწნს ცოლსშვილში საშინელება იყოს უწყალოებისა“.

ყოვლის ფიცით დარწმუნებული მეფე ირაკლი კმაყოფილი შეიქნა იმათგან და გამხიარულებული წამოვიდა.

შარშან 1863-სა წელსა ზაფხულს ჰარბელაქანში აღრეულობა რომ მოხდა, ერთი მოხუცებული ლეკი იჯდა თურმე თავის სახლის კარებთანა და თან ამას ამბობდა ცრემლით:

— რაც მეფეს ერეკლესაგან მე გავიგონე, ისინი ბევრი აგვიბდა და ეხლა ხომ სრულებით დავიქცევით ჩუწნ. რაც ჩუწნმა მამა-პაპებმა ქართუწლებს უყვეს, ახლა ჩუწნ უნდა გადაგვხვდეს, ის ჩუწნი მამაპაპების უწყალოება ქართუწლებზე. ეს არის ღთვს განგება ჩუწნზედ მოსული, სხუა არაფერი.

მართლა, რაც მე ვიცი და ვჩხრეკ ჩუწნ ქართუწლების მდგო-

---

შენი რჯული გიყვარს, ისე მაგას თავისი. ამისთვის გააგდევით ეგ ქურდაშვილი, რომ მაგან ჩემი სახლი აღარ ნახოს“ და აღარც გაუტარებია თავისთამ. ყოველს სარწმუნოებას მეფე ირაკლი დიდს პატივსა სცემდა ასე.

— 7 —

მარეობასა ძუწლს თუ ახალს, ჩუწნს უკანასკნელს მეფეებამდისინ, ვისაც კი ჩუწნი ქართუწლებისათვს ავი უქნია ანუ იმ ჩუწნი მამა-პაპების დაცემა მოუნდომიათ გარეშე მტრებსა, იმათი ანუ იმათი

შვილიშვილებისა საბოლოო კარგი არა ყოფილა რა და ძლიერ გადახდენიათ. მე ესეები ძალიან კარგათ ვიცი. ესეც ვიცი, რომ კრიტიკოსები ამ ჩემს სიტყუას გაატრიზავენ და ბევრსაც გაიცინებენ თავილოებით.

ეს ხომ ცხადათ დავინახეთ იმ პირველს მეფის ირაკლის დროებში მთის ხალხი ანწუხ დიდო საქართუჭლოს გაუერთდა და ჭარბელაქანი კი ვერაფრით ვერ გაიერთა, არამც თუ ვერ გაიერთა, ვერც შემოირიგა, რ'ლიცა საქართუჭლოს მტრების ბუდე გახადეს იმ გაუგებელთ და ჭკვის დამკარგავთა ჭარბელაქნელებმა, სადაც საქართუჭლოს მტრები სულ ამას ფიქრობდნენ, საქართუჭლო როგორ დაელუპათ ფესვით. უთუოთ ასეც მოხდებოდა, თუ იმ დროს ირაკლი არ გამოსულიყო იმისთანა კაცი და იმისთანა მომლელი თავის მამულისა. მაგრამ ესეც არ უნდა დაიმალოს, რომ რაშიაც შესცადა ირაკლი, ისიც უნდა გამოცხადდეს, მოვალენი ვართ სიმართლისა. მეფე ირაკლი არამც თუ საქართუჭლოს ამაგრებდა, ამაგრებდა საქართუჭლოს ყოველს სოფლებს (ადრევეც მითქომს როგორ) და სახიზრებს აკეთებდა. როგორცა ვთქვთ, ყოველი ღონის ძიება მოიხმარა ჭარბელაქნის გაერთებისათვის ანუ შემორიგებისათვის, მაგრამ ვერაფრით ვერ შეიძლო. ამის საშუალება ამის მეტი არა იყო რა, რომ ჭარბელაქნის პირდაპირ ალაზნის პირებზედ, სადაც ფონები იყო გამოსასვლელი, იქ ციხეები უნდა გაეკეთებინა, შიგ ხუთას ხუთასი ქართუჭლი მეომარი დაეყენებინა ანუ მეტნაკლები, თავის ორის თუ სამის ზარბაზნითა, რ'საცა დიახ ადვილად შეეძლო ეს, მაშინ დაინახავდა, რაც სარგებლობა იქნებოდა, თუ არა და ეს ფონები გახსნილი დააგდო და მთელს დაღისტანსა, სადაც ყრილობა ჰქონდათ ხოლმე ჭარბელაქანში, იმათ თავისუფალი გზები დარჩათ საქართუჭლოზე შემოსასვლელ გასასვლელი და რაღას ინაღვლიდნენ. თუ ეს ციხეები მოეგონებინა, ასე შეჰკრავდა მთელს ჭარბელაქანსა, რომ მეტი ღონე აღარ ექნებოდათ, უნდა ირაკლისთვის თაყუანი ეცათ და დამორჩილებოდნენ. მაშინ ახალციხე დასუსტდებოდა ლეკის ჯარით, დანარჩენს ლეკებს ოსმალო აღარ შეინახავდა და უთუოდ ისინიც იქიდგან გამოვიდოდნენ. თუ მე ამას

— 8 —

ფაკტით არ დავამტკიცებ, ბევრნი არ დაიჯერებენ, რომ ალაზნის პირებზედ ციხეები უთუოდ საჭირო იყო.

პირუჭლი. ოცდა ხუთის თუ ოცდა ათი ათასის ლეკით დიდი ომარხან ყვარელის ციხეს რომ შემოადგა უეცრათ, რ'ლშიაც ძლივს შეასწრეს მცხოვრებთა, რა ქნა, რა შეიძლო იმდენის ჯარითა ომარხანმა? არამც თუ შეიძლო რამე, რამთენსამე დღეს უკან სირცხვილუული შემოეცალა ციხეს და გაქცეულსავით წავიდა თავის ქუჭყნისაკენ. თუ როგორმე ყვარელის ციხე აეღო, ომარხანსა, დღეს ქართუჭლის სინსილა აღარ იქნებოდა. ამისთვის რომ მთელი და-

ღისტანი კახეთზე უნდა მოხეტიალიყო და საქართუწლო სრულიად გაეწროთ. ომარხანის მრჩეველების პლანი ასე ყოფილა, მაგრამ ყუარელის ციხე რომ ვეღარ აუღიათ, იმათი პლანებიც სულ ჩაშლილა. აი რა არის ციხე, რლსაცა დიახ ადვილათ შეემლო მიწური ციხეები გაეკეთებინა ყოუწლს სამძღვრებზედ. არამც თუ მიწური ციხეები — ქვტკირებისაც.

მეორე. მეფე ირაკლი თავის სამეფოს კუალობაზედ ძლიერი იყო. იმას ჰქონდა ოცდაოთხი გაწყობილი ზარბაზნები თავის ჩამოსასხმელის სახლითა, რლსაცა საითკენაც უნდოდა, იქით წაიღებდა იმ ზარბაზნებს, მაგრამ უფროსი ერთი სულ ადგილობრივ ეწყო და თვთონ კი თავის ქართუწლებით მტერს სდევდა ხან სომხითში, ხან ქართლში და ხან კახეთში, მაშინ როდესაც რომ სადაც კი ზარბაზნებსა წაიღებდა ხოლმე, მტერსა რეგუდა. ამასთან დიახ ადვილად შეემლო ოცი ათასი კარგი მეომარი გამოეყუნა საქართუწლოდგან, დადგრომილი რამდენიმე წლობით ხოლმე. იმ ზარბაზნებით და იმ ჯარით, რლის მტერს ღა შემოუშუწბდა საქართუწლოში? არამც თუ შემოუშუწბდა, სხუა ქუცყნებსაც შეიძინებდა. თუ ერევანი იმ თავის გაუწყობელის და მცირედის ძალით ისე ადვილათ შეიძინა და ოცდაოთხი წელიწადი მეტი ჯელში ეჭირა, სხუას რას არ იქმოდა იმ ძალით და იმ დაწყობილობითა, რლიცა ზევითა ვთქვი ეხლა. აი როგორც ეხლა მოვიტანთ მაგალითსა: მეფე ირაკლიმ მორიგე რომ შემოიღო, ოთხი ათასი კაცი კახეთის სამძღვრებს ინახავდა, ოთხი ათასი ქართლისას და ოთხი ათასი სომხითისას\*). რა დააკლდა საქართუწლოს? დაკლებით არაფერი, შე-

---

\*) ამასთან ბარაბანები თავის ბარაბანჩიკებით შემოიღო და ზოგიერთს ბატომშვილებს და თავადის შვილებს აფიცრულათ ჩააცუა.

ძინებით კი ბევრი. შეძინება ეს იყო, რომ როგორც ჩუწწში იტყვან, გარეშე ფრინუწლიც ვეღარ გადმოფრინდებოდა, არამც თუ მტერი ღა შემოსულიყო საქართუწლოში, სადაც გაოხრებულს სოფლებს შენობა დაუწყეს ქართუწლებმა. ის მორიგე ექვსი თუ შვიდი წელიწადი იყო და ამ ცოტას ხანში საქართუწლომ კიდევ გაღიმება დაიწყო ცოტათ.

მესამე. ამ მესამის მეფის ირაკლის შეცდომილებასა დავეხსნათ, ამაზედ ნურას ვიტყვთ, ეს ღთის კერძია, იმან იცის...\*)

მეოთხე. იმთენი თავის წინააღმდეგების ამბები როგორ არა იცოდა რა, მარკოზაშვილის დარბაზში რომ შეიყრებოდენ ჩუმათ და იქ უთხრიდნენ ძირსა, საიდგანაც ყოუწლი დაფარული წინააღმდეგობა იყო საქართუწლოში მეფე ირაკლიზედ! \*\*) თამამად ვიტყვი: ჩუწწნი საქართუწლოს პირუწლის ოჯახებიდგან თვთო გუარში ორი და სამი მაინც იყო მეფის ირაკლის მტერი და იმათი კუდები ხომ



რავდენი... საწყალს მეფეს ირაკლის ძალიან გვიან შეუტყუა ეს ანბები, სწორეთ სიკვდილის წინა დროებში. კიდევ იმ მარკოზაშვილის დარბაზელებს დაუღუპავსთ საქართუწლო, რ~ლებსაცა ის მორიგეც იქიდგან მოუშლიათ, ის ბედნიერება საქართუწლოსი! არამც თუ მარტო ის მორიგე, რასაც კი კარგსა რასმე მოინდომებდა საქართუწლოსათვს მეფე ირაკლი, ყოვლის ღონის ძიებით, ყოვლის ცბიერებით ეცდებოდნენ როგორმე მოეშალათ. ის მეფის ირაკლის დრო იყო გამყიდუწლოობის დრო, რ~ლისაგანაცა საქართუწლო უნდა დამხოზილიყო, არა იმდენი ქართუწლების სისხლის დაღვრითა ცხადის მტრებისაგან, არამედ პლუტობით და აზარქრობით გამყიდუწლებისაგან. როდისაც რომ კარგათ დავფიქრდებით იმ წინააღმდეგებზედ, იმათ საზიზღარს საქმეებზედ, აღარ ვჯავრობთ და აღარც გვიკვირს.

უცოდინარები იყვნენ, ამასთან მეტი გულწრფელები და არ იცოდნენ, რას შურებოდნენ. უფრო სწორეთა ვსთქუათ, რას ტუტუცობდნენ სულელები: მიუტევე, მამაო და სხუანი. აი ასე იყო

---

\*) ავტორი აქ უნდა გულისხმობდეს რუსეთთან ცნობილ ტრაქტატის შეკვრას. ს.კ.

\*\*) პირუწლად იმ მარკოზაშვილის დარბაზში ვინც იდგა, მეფის ვახტანგის ამბავშია ქუწვით.

— 10 —

მაშინდელი დრო საქართუწლოსი, ასე დაუწყნარებელი და ამისთანა დაუნდობელი დრო. რაღა უნდა ვსთქვათ? მეფის ირაკლის იმთენს უბედურებასთან ერთი რიგიანი საქუწყნო გამგე არავინ არა ჰყუანდა, სულ თვითონ იყო. ასე გაშინჯეთ, არც შვილი და არც შვილისშვილი უვარგოდა, რ~ლსაცა შესძლებოდა მეფობის რიგის მიცემა. ერთი იყო ლევან და ისიც უეცრათ მოკვდა და უბედურს ირაკლის ისიც ველიდგან გამოაცალეს. უთქუამსთ: სხუა დედაკაცზედ მოკლესო. ტყუილია, მაშინდელი წინააღმდეგების ჰორია სწორეთა ვსთქუათ, დაფარუა აღარ უნდა: მოწამლეს. ამისთვს რომ მეტი კარგი რამ რომ იყო, ჯიდა საქართუწლოსი და შურით უყუწს, რ~ლიცა ოცდაოთხს საათში გაქრა, ის საკვირუწლი მეფის ირაკლის შვილი ლევან, რ~საცა მთელი საქართუწლო იგლოვდა მწარეთ. თუმცა ეხლა ზევითა ვთქვთ, მეფეს ირაკლის ერთი რიგიანი საქუწყნო გამგე არავინ არა ჰყუანდა მეთქი. როგორ იქნებოდა, რომ არა ჰყოლოდა!

დიახ ჰყუანდა ოთხი თუ ხუთი, მაგრამ ისინიც ყუწლასაგან ამოჩემებული იყუნენ და ყოუწლოთვს ქუწმ უთხრიდნენ იმათ. მაშასადამე მეფეს ირაკლის კაცი არა ჰყოლია. ნეტავი როგორიც ვაჟკაცნი კი იყვნენ მაშინდელი ქართუწლები და მართებული გულწრფელი დარბაისლები, იმის მეასელი ქუწყნის მართუწლობა სცოდნოდათ იმათ.

ვინ ამბობენ, დავით ბატონიშვილი კარგი იყო. დავით ბატონიშვილი მინამ პირუელად სხუაგან წავიდოდა (ესე იგი რუსეთს), მართლად კარგი ყოფილა და როდესაც იქიდან მოსულა, სულ გადარეულა (ყუავსა კაკბის სიარული ვერ უსწავლია). მეორეთ რომ სრულებით წასულა იქ, ერთიც მაშინ დასტყობია სამეფოს კაცობა, ამისთვის რომ მოუფიქრია და ჭკუაზედ მოსულა. არამც თუ მარტო დავით ბატონიშვილი მოსულა ჭკუაზედ — ვინც კი ბატონიშვილები იყვნენ, იმათაც დაუნახამთ თავიანთი რეგულაცია, მაგრამ რაღა დროსი იყო: თოიდან საღრა ნაღრა (ქორწილის შდგომ ნაღრა). ბევრი ჭკუა დაკარგული ანდაზებია დავით ბატონიშვილზე. გარდა ამისა დიდი წინააღმდეგობა ჰქონიათ მამაშვილსა მეფის გიორგის. დავით ბატონიშვილის ძმა ივანე სჯობნებია დავითს, არამც თუ მარტო დავითს, მთელს სახლეულობას სულ ერთიან. თუ კიდევ ყოფილა რამე, ისევ ივანე ბატონიშვილი, სხუანი ნაკლები იმაზედ.

გასაშტერებელია, იმისთანა ფიქრ არეული ანუ ფიქრ გამო-

— 11 —

ცვლილი კაცი, როგორც დავით ბატონიშვილი შეიქნა შორი გზიდგან მოსულში პირუელში, ისე უზომოთ რაღათ სცემდა პატივს თავის პაპას მეფეს ირაკლის და ან ყოველთვის საკურვლად რათ მიაჩნდა იგი. ჰგავს ასე ყოფილა, რომ ყოუცლი დიდი კაცის საკვირულება არავის თუალში არ უნდა დაიკარგოს.

ასე და ამ სახით ყოვლისფრით უბედური იყო მეფე ირაკლი. ამდენს უბედურებაში ჩავარდნილი, იმდენს საიდუმლოს მტრების მახეში გაბმული და იმდენის მოსეულის მტრების დევნით მოუსუწნებელს ცხოვრებაში იყო ჩაღუპილი, ასე რომ ერთი ბეწო მცირედი მოცლა არა ჰქონდა, თავისი ქუჭყანა გაემართა.

მინამ მეფე თეიმურაზ იყო მეფის ირაკლის მამა, კარგი შემწე იყო თავის შვილის ირაკლისა, სამეფოს საქმისაც კარგათ წამყვანი და როდისაც იგი აღარ იყო, მაშინ ლევან მოუსწრა, ირაკლის შვილი, რლმაცა მტერი იმას დაანება და თვითონ კი ქუჭყნის მართულობას შეუდგა სრულის გულით, მაგრამ დიახ ცოტას ხანს. ის კარგი მეფის ირაკლის შვილი ლევან ოცდამეხუთეს წელიწადში აღარ იყო და მეფე ირაკლი ისევ იმ პირუელს ვაებაში შეცურდა დასანთქმელად (ლევანის სიკვდილი ზევითაც ითქუა).

ლევან ბატონიშვილი ასეთი კარგი რამ გამოსულა, რომ მართლა მარჯუენა მხარი მეფის ირაკლისა, თითქმის თავის მამას სჯობნებია, რლსაცა სწორეთ იმას სცოდნია თავის ქუჭყნის მოვალეობა რა არის. იმის დროსა მეფე ირაკლიმ კარგათ დააწყო საქართულოს საქმე, რლიცა ზევით დავინახეთ მორიგე. დიდი ანტონი ქათალიკოზი რა რიგათ კელს უმართავდა იმათ, როგორ ეწეოდა იმათ და რა რიგათ წესიერად აწყობდნენ საქართულოს საქმეს ეს სამი საკვირუელი კაცი! ამ სამის კაცისაგან ეს ანბები რომ

დაინახეს, გუარის ღირსება და ადგილობის მოთაობაც შეეწეოდა იმათ, რ~ლებიცა ყოუჭლი წინააღმდეგნი წინააღმდეგობიდან მეფობის ერთგულებაში და მორჩილებაში შემოვიდნენ ეს სამი კაცი ასე განძლიერდნენ საქართუჭლოში, რომ სულ ჴელში დაიპყრეს ყუჭლა. უფროსი ერთი ესენი სულ ერთად იყვნენ და ერთად არჩევდნენ საქართუჭლოს საქმეს. მეფობის წინააღმდეგობას საქმით გულში ვედარავინ ვედარ ივლებდნენ გულში, ასე შეკრეს ყუჭლა.

მეფე ირაკლი ქუჭყნის გამართუას შეუდგა, ანტონი ქათალიკოზი ეკლესიების საქმეს და ლევან ბატონიშვილი გარეშე მტერსა სწყლავდა, მაგრამ ამ საკვირუჭლმა კაცებმა მაინც ვერ მოიგონეს,

— 12 —

ჭარბელაქნის პირდაპირ ალაზნის პირზედ ციხეები გაეკეთებინათ. ამ სამს კაცსა კარგა ხანი რომ დასცლოდათ ერთად, პირუჭლს მეფობის ხარისხზე დაადგენდენ საქართუჭლოს. მაგრამ კიდევ უბედურებას რა გაეწყობა! ამათ ძალიან ცოტა დრო დასცალდათ ერთად. ლევან ბატონიშვილი იმ ყმაწვილ კაცობის ხანში აღარ იყო და ანტონი ქათალიკოზიც იმის ცოტა ადრე მოკვდა. წარმოიდგინეთ, ამ ორი კაცის დაკარგუა რა საშინელი ზარი იქნებოდა მეფის ირაკლისათვის! ოო! ბედო, ბედო! ჩუჭნში უბრალოთ კი არ არის ნათქუამი: ბედი მომეც და სანახუჭზედ დამაგდეო. რუსთველიც ამბობს: „ბედმა გვიყო ყუჭლა კაი, ჩემო, რამცა დაგუჭმართა“.

თ~ა ნიკოლოოზ მელიტონის ძე ბარათაშვილი საქართუჭლოს ბედს რომ ლექსათა სწერს, სადაც სოლომან მსაჯული გამოჰყავს მეფის ირაკლის უბნობაში, ის ლექს მგოსნობა საუცხოვოა, მაგრამ ისტორიისათვის კი არ გამოდგება. მინამ აღამამადხან მოვიდოდა საქართუჭლოზედ, სამი წლის წინათ დაუთხოვნია თავისგნით და ძალიან გასწყრომია და აღამამადხანის შ~დგომ ისევ შეურიგებია, რ~ლისაცა სოლომონ მსაჯულის ორი წიგნი მე მაქუს, თვთონ სოლომან მსაჯულისაგან შავათ დაწერილი მეფე ირაკლისთან დიახ დიდი მადლობისა, რომ მეფე ირაკლიმ შეირიგა. პირუჭლი წიგნი არის დაწერილი ზ-ს მარტს ქ~კს უპდ-სა და მეორე ე-ს აგვისტოს ქ-კს უპე-სა. გახსოვთ, ზევით რომ ვთქვთ: ოთხი თუ ხუთი ჰყუან - და მეფეს ირაკლის და ისინიც ამოჩემებული იყუნენ ყუჭლასაგან მეთქი. იმათგანი ერთი ის სოლომონ მსაჯული იყო ყუჭლასაგან ამოჩემებული, რ~ლზედაც ამთენი ტყუილი ამბები უზიდიათ მეფის ირაკლისთვის, რომ ბოლოს იძულებული ქმნილა, ძალიან გასწყრომია და თავისგნით დაუთხოვნია. თ~ას ნიკოლოოზს ეს ამბავი რომ სცოდნოდა, იმის დათხოვნაში უფრო საგანგებოს აზრებს გამოხატავდა, მინამ საქართუჭლოს ბედში. იმ დროს სოლომონ მსაჯული სიონის ეკლესიის მახლობლათაც მდგარა ერთს სახლში მტკუარის პირზედ, სიონიდგან ჩრდილოეთის მხარეს.

იმ ორი საკვირუჭლი კაცის დაკარგუა მეფის ირაკლისთვის ბო-

ლო მისაღები იყო, თუმცა კიდევ თავის გულსა არა ჰკარგავდა და მოუსუწნად ცდილობდა საქართუწლოსათვს, მაგრამ იმ წინააღმდეგებმა კიდევ თავი აიწიეს და მოჰყვნენ თავისებურათ საქართუწლოს ძირის ამოთხრასა. თუ მეფეს ირაკლის იმისთანა ორი კაცი აღარ ჰყუნდა, ვა ანტონი ქათალიკოზი და ლევან, ევროპიის გუარზედ

— 13 —

განათლებული რომ ყოფილიყო, მაშინ იმისმა ბუნებითმა ჰკუამ იცოდა, რასაც იქმოდა, მაგრამ ეს რომ არა ჰქონდა, შეჩენილი წინააღმდეგები სულ სხუა გუარათ აჩუწნებდნენ საქართუწლოს საქმეს და ურევდნენ იმის ბუნებითსა ჰკუასა. ყოვლის ფრით დაობლებულსავით დარჩა მეფე ირაკლი შდგომ დიდი ანტონი ქათალიკოზისა და იმის შვილის ლევანისა.

მგონია, მეფე ირაკლიზედ საკმაოდ თავს ნება მივეცი, რომ რაც ვიცოდი იმაზედ, ვთქვით იმისთანას მამულის მოწამეზედ იმისი შეცთომილებანი. აბა ახლა ამის შდგომ მეფეს ვახტანგზედ გადმოვიდეთ, იმისიკა ვთქუათ, არც იმისი უნდა დაიმალოს, რაც იმაზედ ვიცით, იმისიკა უნდა ვთქუათ, დამალუა სირცხვილია.

ბევრს უთქვამს და მეც მითქუამს: მეფე ვახტანგ ბრძენი იყო-ვო. მაგრამ სწორეთ რომ ვჩხრეკთ და იმის ამბებს ვიგონებთ, იმისი კარგი არა ჩანს რა. ამისთვის მოკლეთ გამოკრებით ვიტყვთ და პირდაპირ, რომ მეფე ვახტანგმა დაანგრია საქართუწლო. ვიცი, ამას ბევრი გაიკვირუწბენ, მაგრამ ვითხოვ დამშვიდებულს მოთმინებას. მეფე ვახტანგმა თავი მოარიდა მაშინდელს საქართუწლოს გარემოებასა, გადვიდა რუსეთს, რლიცა იმის შდგომ დარჩა ქართლის მეფეთ იმისი გათათრებული ძმა ესე ოსმალების ნებით. შდგ იმის სიკვდილისა და ნადირშასაგან ოსმალ ლეკების გალაღვისა საქართუწლოდგან, იმის ქალის თამარისა ქმარი კახეთის მეფე თეიმურაზ დასუა ნადირშამ ქართლ-კახეთის მეფეთ და დიდი შემწეობაც მისცა თავის ჯარებითა. თუ ბრძენი, თუ დიდსულოვანი იყო მეფე ვახტანგ, ანუ თავისი მამული გულით უყუარდა, რუსეთიდგან დიდი შემწეობა უნდა მოეცა თავის სიძის მეფის თეიმურაზისთვის, ისიკა შვილი იყო, სულ ერთია, რლსაცა დიახ ადვილად შეეძლო ესენი. ნაცვლად ამისა თავის ძმისწული აბდულაბეგი და თავის შვილი პაატა (არა რჯულიერი შვილი) საქართუწლოში დარჩნენ მეფის ვახტანგის ნებით ქართუწლების ასარევად და აურიეს კიდევ. ჯერ ამ ორთა შორს ეჭირათ თავი, ჩუმათ საქმობდნენ და სხუწბს კი აბრიყუწბდნენ, ესე იგი დიდ შანშე ქსნის ერისთავსა, რლმაცა ბევრი სავნებელი დამართა საქართუწლოს. თუ როგორმე მეფე ვახტანგს მოენდომებინა და იმ ორიუწსათვს ერთი პატარა ბარათი მოეწერა, ძალიან დაამეგობრებდა თავის სიძესთან იმათ, რლებზედაც დიდი ნება ჰქონდა იმათზე. არამცთუ ბარათი, უფრო და უფრო აქეზებდა იმ ორთ თავის სიძის მეფის თეიმურაზისა დასამ-

ხობათ. იმათ ვერ დაამხეს და მოხდა შინაური არეულობა ზევით ხსენებულის შანშე ერისთავისაგან. მინამ მეფე ვახტანგ ცოცხალი იყო, როგორცა ვთქვთ, ისე ურევდა საქართუჭლოს და როდისაც აღარ იყო მასუკან იმის შვილი ბაქარ დარჩა თავის მამის ფეხათ და იმან უფრო უარესად შემოუკეთა საქართუჭლოს ანუ ქართუჭლებსა გივი ამილახვართა \*). ამ ქართუჭლების თავგამოდებულმა ერთმანეთის შეხეთქილებამ კლდეზე გადასაგდებათ დააყენა საქართუჭლო. მეფის თეიმურაზის მოპირდაპირე გივმა ამილახვარმა ოსმალ ლეკების შემწეობით და მეფე თეიმურაზიც იფარავდა საქართუჭლოს სპარსელების მოხმარებით, სადაც მოხდა დიდი სისხლის ღვრა საქართუჭლოში. ეს არის ნადირშას ყიზილბაშების დრო საქართუჭლოში. ამ გუარი წყალობის მომცემი ქართუჭლებისა ჯერ მეფე ვახტანგ იყო, შდგომ იმის შვილი ბაქარ და მასუკან ორქივატერი იოსებ (ეს კი მეფის ირაკლი დროს იყო იოსებ). მეფე თეიმურაზმა ესენი სულ დათრგუნა ნადირშას ჯარების შემწეობით. ბოლო დროს მეფე ირაკლიც გაურია საქმეებში. ბოლო მოუღეს იმ ცხადს მტრებსა, მაგრამ საიდუმლოს მტრებისა კი არა იცოდნენ რა, რა ამბავი იყო საქართუჭლოში. იქნება მეფე ვახტანგ ამით გაამართლონ, თავის მეფობისთვის ზრუნამდა, დასაძრახი არ არისო. ამის პასუხს თავი დავანებოთ, ვერას გიტყვთ, მხოლოდ ამის მეტსა, რომ ის მარკოზაშვილის დარბაზი პაატა ბატონიშვილის სადგომი იყო, სადაც კრება ჰქონდათ ხოლმე შეშთქმელებსა, მინამ იმათი ამბავი შემთხუჭვით გამოცხადდებოდა. მინამ მეფე თეიმურაზ იყო საქართუჭლოში, აბდულაბეგი გაფთხილებული იყო, ცხადათ ვერა გაეზედა რა და როდესაც ის აღარ იყო, აბდულაბეგმა ცხადათ დაიწყო ჯარებით გამოსულა მეფის ირაკლის დასაცემათ, მაგრამ მალე შემოაწყვტა ის იმისი ჯარები ზედა და თვთონ აბდულაბეგიც სრულიად გააქრო საქართუჭლოდგან. ამის შდგომ ახლა პაატა ბატონიშვილმა გამოიღო თავი მეფის ირაკლის დასამხობათ, რლიცა ის ამბავი „ცისკარში“ მაქვს აღწერილი შეთქმა (მარკოზაშვილისა

---

\*) აქ ორქივატერს იოსებ არღუთაშვილს არ ვიხსენებ, იმისი ამბავი სხუაგან იქნება. მაგრამ შემდგომ ბაქარისა, მას უკან ჰყუნდა აგენტები საქართუჭლოში და იმათგან ღუპავდა საქართუჭლოს. იმისი ამბავი სხუაგან წვრილათ იქნება სხუა წერილში.

დარბაზისა მოუხსენად). შემდგომ ამისა, მგონია, იმ მეფის ირაკლის წინააღმდეგებისათვის საგრძნობელი იყო, რომ მეფეს ირაკლის გაერთებოდნენ თავიანთ მამულის სიყუარულისათვისა და იმის ასამაღლებლად, ამისთვის რომ მეფე ვახტანგ აღარ იყო, იმის მეფობისათვის ეზრუნა და აღარც აბდულაბეგი და აღარც ბატონიშვილი პაა-

ტა, რომ კიდევ არეულობა ყოფილიყო საქართულოში. მაშასა-  
დამე, სხუა რალა უნდოდათ იმ მეფის ირაკლის წინააღმდეგებსა?  
გონების მიხედვით უნდა დამორჩილებოდნენ არა მეფეს ირაკლის,  
არამედ მამულს მამულის სიყვარულისათსჯს, მაგრამ არა, მამულის  
სიყვარულსა მეფის ირაკლის მტრობა ირჩიეს, სადაც შაიკა გაკეთ-  
და საქართულოს დაღუპისა.

იქ იმ მარკოზაშვილის დარბაზში კი აღარ იყო კრება, მაგრამ  
ის მარკოზაშვილის დარბაზისა აზრი ეს მეორე შეთქმა, დიახ ოსტა-  
ტური ფრთხილი შეთქმა, გამრახ გააგმელეს მეფის გიორგის სიკვდი-  
ლამდისინ, იცოდნენ, მეფის ირაკლის დროსა ვერას იქმოდნენ და  
საიდუმლოთ კი უთხრიდნენ, რ~ლებიცა მტერზედ ჰყიდნენ საქარ-  
თულოს. განა დიდი ანტონი ქათალიკოზი იმისთანა შვილი არ  
იყო იასე მეფისა, როგორც აბდულაბეგი, მაგრამ თავის ბიძას მე-  
ფე ვახტანგს არ მიუდგა არაფერში. იმან კახეთის მეფობისა მხარე  
დაიჭირა, ამისთვის რომ ასე ხედავდა საქმეს და რაც შეეძლო თავ-  
დადებითაც ეწეოდა იქით მხარეს. იმ პირუჭოს თავის დროებში  
ქათალიკოზმა ანტონიმ უფრო მაღალის აზრით დაიწყო საქართუ-  
ლოს ამაღლება, მაგრამ ახლა მეფე თეიმურაზმა გამოიღო თავი და  
ექსორია უყო საქართულოდგან. სწორეთ ვიტყვი, რომ სიმამრი  
მეფე ვახტანგ მთელი სახლობით და სიძე მეფე თეიმურაზ ესენი  
სულ ერთიან ერთს ასეთს ადგილას უნდა ყოფილიყვნენ, რომ იმათ  
საქართულოსი არა სცოდნოდათ რა და იმათ მაგიერათ მხოლოდ  
ქათალიკოზი ანტონი და მეფე ირაკლი დარჩენილიყვნენ. იმ პირ-  
უჭოს დროებიდგანვე მეფის ირაკლის ბატონიშვილობის დროში სა-  
ქართულო სულ სხუა იქნებოდა. ხომ კარგი შემწე იყო თავის  
შვილის ირაკლისა მეფე თეიმურაზ და საქართულოს საქმისაც კარ-  
გათ წამყვანი, მაგრამ საქართულოსათსჯს კი უფრო ასე სჯობდა.

ახლა შევათანასწოროთ ნადირმა მეფე ვახტანგთან, რა გან-  
სხუაებაა იმათში? იმ მაჰმადიანმა ნადირშამ ქართლი და კახეთი შე-  
აერთა ერთს ქრისტიანეს სამეფოთ და ქრისტიანმა მეფე ვახტანგმა  
კი ქრისტიანეს მომხრებითა საქართულო დააქციეს. ამის შ~დგომ

— 16 —

რაში გავამართლო მეფე ვახტანგ? რომ დაწერა იმაში? მაშინ ის  
რჯული არც უხმარიათ, არც მოქმედებაში ჰქონიათ და ან ვინ მო-  
იცლიდა იმისთვისა, ასეთი დრო იყო მაშინ საქართულოში. მეფის  
ვახტანგის რჯულისა არაფრისთანა არა იყო რა მაშინ საქართუ-  
ლოში არაფერზედ. ყოუჭლი საქმე სულ საჩქაროთ იყო, სულ მო-  
რიგებაზე, სულ სვინიდისზე და სიმართლეზედ მეფესთან, მებატო-  
ნებთან და ხალხში. ამაზედ გვითქვამს კიდევ ადრე. ბევრჯუჭლ  
მოხდებოდა საქმის მიხედვითა, რომ მეფე ირაკლი დიამბეგების სა-  
მართალში მისცემდა საქმეს განსახილუჭლად და გადასაწყუჭლათ.  
ამისთვის ერთი იასე მსაჯული \*) ჰყუანდა, რ~ლსაცა ორი ბეჭედი

ჰქონდა მეფის ირაკლისაგან მიცემული. ერთს ბეჭედზე „იასე მსაჯული“ იყო დაწერილი ამოჭრით და მეორეზე: „ჟამნიცა ესე წარუალს“. დიამბეგებისაგან გადაწყუჭტილი მეფეს ირაკლის მიერთმეოდა, მეფე ირაკლი იასე მსაჯულს გაუგზავნიდა, ისიც გამოძიებაში შევიდოდა. თუ ნახამდა, რომ სიმართლით არის გადაწყუჭტილი, იმ თავის ბეჭედს დაასუამდა ასე: „იასე მსაჯული“. მეფე ირაკლიც იმ დიამბეგების გადაწყუჭტილებას დაამტკიცებდა და თუ იასე მსაჯული აღმოაჩენდა, რომ ის დიამბეგების გადაწყუჭტილობა უსამართლო არის, ახლა იმ ბეჭედს დაასუამდა ასე: „ჟამნიცა ესე წარუალს“, რ~ლსაცა მეფე ირაკლი იმ გადაწყუჭტილობას თავსა გადუხევედა და დიამბეგებს გაუგზავნიდა ამ სიტყვით: იასე მსაჯული ამბობსო, ჟამნიცა ესე წარუალს. შეუდგებოდნენ და მეორეთ სიმართლით გადასწყუცტდნენ ხოლმე. ასე და ამ სახით იყო ყოუჭლი საქართუჭლოს საქმე და არა მეფის ვახტანგის რჯულისამებრ.

აი როდის შემოვიდა მეფის ვახტანგის რჯული. როდესაც ძლიერი რუსეთის მთავრობა დაფუძნდა საქართუჭლოში და იმ დროს ევროპიის წესზედ შეიცვალა დრო, ჩუჭნი ძუჭლის საზოგადოობისათვის სულ სხუა, და აღარც იმთენი სარჩო ჰქონდათ მეფის კარის კაცებს და მოჭელეთ, მაშინ მეფის ვახტანგის რჯული შემოიტანეს მხოლოდ იმ ერთის სიტყვსათვის: მებატონის გლეხი კაცი სულს გარდა მებატონისა არისო. რისთვის? თავიანთი გლეხები მონებაში შემოიყვანონ დროს მიხედვითა და კიდევ შემოიყუანეს, რომ კარ-

---

\*) ეს იასე მსაჯული ერთი იმათგანი იყო, რ~ლებსაცა ქუემ უთხრიდნენ.

გი სარჩო ჰქონდეთ და ვინც ნაკლებათ იყვნენ, იმათაც შეეწივნენ პატარა რიგიანი მოსუჭნებულის ცხოვრებისათვის. არც დასამრახნი არიან ისინი. იმ სისხლისა და იმთენი ვაების შ~დგომ მოსუჭნება უნდოდათ იმათ. მართლა იმათ ასე ეგონათ, ძლივს მოვისუჭნეთო, მაგრამ ამასთან ასეთი დავიდარაბა და დავიდარაბის ხარჯები ჩამოუვარდათ ერთმანეთში მამულებზე თუ ყმების თაობაზედ, რომ ის უჭინდელი ვაებანი სულ დაავიწყდათ. როგორ დამავიწყდება თ~ასლ. ზ. ძე სო. თავის მახლობლებმა რომ ჰკითხეს: აგრე რათა ხარ დაღონებულიო, პასუხი: როგორ არ ვიყო ღ~თის გულისთვის, ოცდა ოთხი საქმე მაქუს, სულ სხუა და სხუა დავიდარაბა, რა ვქნა, რა უყო, არზების წერა მე არ ვიცი, საქმის წაყვანა მე არ ვიცი, ამთენმა ხარჯმა ვალებში ჩამაგდო, დავილუპე. რ~ლი მწერალი რასაც მეუბნება, ვალს ვიღებ, ვაძლევ, აქამდისინ კიდევ ვმოვობდი ვალებს, ახლა იმასაც აღარავინ მენდობა, არ ვიცი, რა ვქნა. დღეს ჩემი ცოლმვილი მშვივრები ჰყრიან ხმელს პურზედ, ღ~თს გეფიცებიოო ამასთან მწარე ცრემლები გადმოყარა. ერთს კვირას უკან

დაიძახეს, საწყალი კიდეც მოკვდაო და სხუანი.

მანამ კიდეც ის ძუწლები იყუნენ, რაოდენ შეიძლებოდა თავის გლეხებს ანუ ყმებსა უფთხილდებოდნენ და როდისაც ისინი აღარ იყვნენ, იმათმა შვილებმა ესე იგი ჩუწნი ის პატიოსანი სამსახურის დებულების წესი, იმ პატიოსანი ჩუწნი გლეხებისა სულ ერთიან დავლენეთ და იმის მაგიერათ ის ჩუწნი გლეხები ასე გავბეგრეთ, რომ როგორც ჩუწნი გვინდოდა ისე \*).

---

\*) უწინდელს დროს საქართუწლოში სად იყო დავა ყმებზედ ანუ ძმულებზედ, სადაც ძუწლადგანვე ყუწლამ თავისი იცოდა და ყუელას განგანსაზღვრით ეჭირათ თავისი. თუ როგორმე დავა მოხდებოდა რაზედმე იმისათვის იყო სწრაფი სვინიდიისანი სამართალი, სადაც გადასწყუწტდნენ ჩქარა (ზევითაცა გვითქუამს), რწლებიცა ორივე მხარენი კმაყოფილი დარჩებოდნენ. აბა ერთი იმისთანა სამართალი მაჩუწნონ სადმე ქუწყანაზედ, რომ საჩივარში მოჩივრები კმაყოფილნი დარჩნენ, ასე რომ მოჩივრებმა პირსა აკოცონ ერთმანეთს მორიგებისათვისა? ამ ჭეშმარიტებასთან რაც უნდა იყოს, მაინც მე არ ვაქებ უწინდელს დროსა: სიბნელე განათლებასთან რა საქებელია? ვინც ამას იფიქრებს ჩემზედ, რიგიანი გონება არ ექნება. ის გამყიდუწლობის დრო, ის სისხლი და ის ოხრება საქართუწლო-

— 18 —

იმ ჩუწნი ყმების თაობაზედ ესეც ძალიან მომატებული ვთქვთ, ესეც იმისთვის რომ მეფის ვახტანგის ამბავს მოჰყუა, თორემ ჩემი განძრახუა ამ სტატიაში ის არის, რაც უსამართლოება და გაუკითხავი უწყალოება მოუვიდა საქართუწლოს, ისა ვთქუათ. გარდა იმდენი საშინელი ამბებისა საქართუწლოზე, ახლა ცხადათ ვიტყვი, რომ უკანასკნელად სომხების ორქივატერმა იოსებ არლუთაშვილმა \*) დაღუპა საქართუწლო. იმან აღამამადხან მოიწვია საქართუწლოზედ. როგორ იყო, რისთვის და ვისი პირით მოიწვია, ვიცით ყუწლა. თუ იმისთანა გუამები გამოვიმეტეთ, რაც ვიცოდით იმათზე, ვთქვთ, არ დავზოგეთ, უთუოთ იმთენს გუამებთან ორქივატერის ამბავიც უნდა ყოფილიყო, ასე მაინც მოკლეთ. ერთის სიტყვით, ჯოხიანი და უჯოხი, დიდი და პატარა, საბყარი და ფემართალი, ბრმა და თუალხილული, საქართუწლოს შინაური და გარეული, საწყალს ცოტა ქართუწლებზე მოსდგნენ სულ ყუწლანი ერთად თითქმის ერთ დროს მეფის ირაკლის დროებში. დასამალავია, ნუ ვიტყვთ ამებს?

რამდენიც რომ იმ ამბებში შევიდეთ, იმთენი უფრო და უფრო ბევრი ამბები დაიწერება სულ ერთიერთმანეთზედ შესაწუხებე-

---

სი როგორ მოვიწონო, რწლსაცა ვწყევლი იმ საშინელების მიზეზსა. მაგრამ ვერც ეხლა მოვიწონებთ თავსა ქართველები ვერაფრითა. აბა რით? პური მოგვდის, სხუა ვაჭრობს, ჩუწნი ვენახები სხვის ხელშია, ჩუწნს ღვინოს სხვა ჰყიდის და სხვა კი არა გვაქუს რა, რომ სათქმელი იყოს, თვინიერ უზომო ტრაბახისა, რწლისაცა ამისი ნიჭი კი დიდი გუაქუს, თუ



არიან ვინმე ჩუწნში, ამ შრომაზედ ასე არიან როგორც წუჭთი ზღუაში. ამთენს სხუა და სხუას ამბავსი ახლანდელი ჩუწნებისაც უნდა ითქუას რამე, არც ისინი არიან უნაწილო. უნამეტნავი იმათგანი რაზედაც დამდგარან, იმაზედ მიდიან, აღარ ეშუწბიან, მაგრამ სწორედ ვიტყვი, რომ თუ არ მოეშუწბიან, თუ სწორეს გზაზედ არ დადგებიან, ის იმათი მიმართულება ბოლოს დათვებათ გადაგუაქცევს. ეს უფრო დიდი ჭირია!.. ისინი სხუწბსა ჰკიცხუწნ და თვითონ კი ვერას ხედუწნ, ანუ არ უნდათ დაინახონ. ღთო, დაგვიფარე.

\*) ეს ორქივატერი ადრით არაჩნურთი იყო და ბოლო ჟამს ორქივატერი. ზევითაც ვთქვი და აქაც ვიტყვი, რომ სხუაგან უფრო წვრილათ იქნება მისი ამბავი.

— 19 —

ლი, მაგრამ აქ ვრცელი რა საჭიროა! ის მეფის ირაკლის არეული დრო არის რაღაც ღელვის ხაოსი, გამყიდუწლობისა, ბრძოლის, ომებისა და აოხრების დრო, რწლსაცა არც ერთს ქუწყანასა ის ვაებანი არ გამოუცდია და მგონია არც რწლიმე გამოსცდის ოდესმე. გარდა გამყიდუწლობისა ერთზე რომ ათი მტერი მოდიოდეს, სად არის ეს? მომსწრე ჩუწნი ძუწლები ასე ანგარიშობდნენ. მერე რავდენი წელიწადი? სამოცდასამი და დაუცხრომელად ყოუწლ დღე (მეფის ირაკლის დრო) სულ ამისთანა დროები იყო, სულ სხუა და სხუა გუარი ამბები, რწლსაცა გამოკლებით მოკლეთ წავიკითხამთ ამის ქუწმოთ იმ ამბების გარდა, რაც რომ ადრით დამიწერია.

მე რომ ზევითა ვთქვი, საიდგან როგორ მოდიოდნენ ლეკები მეთქი. რალა საიდგან, ჰარბელაქნის გამოსასულელს გზებსა ანუ ალაზნის ფონებსა პირი ღია ჰქონდათ ყოუწლს ადგილს და საითკენაც უნდოდათ, იქით წავიდწამოვიდნენ, იცოდნენ, გამოსასვლელებზედ არავინ დახვდებოდათ, მაგრამ როდისაც კი საქართუწლოში შემოვიდოდნენ ანუ იყუნენ ხოლმე, ამ დროს ქართუწლები ცეცხლსავით ეკიდებოდნენ, ასე მღვიძარებდნენ თავიან ქუწყანაში თავის მამულისთვს!

ოსმალ ლეკების ბინა ვინ იცის, რავდენ ადგილს იყო საქართუწლოს ტყის სიმაგრეებში, რწლებსაცა ხიზნებიცა თანა ჰყუანდათ ზოგიერთებს და ოსმალ ონახავდა ქართუწლების დასალუჰათ. დიახ ხშირათ მოხდებოდა, რომ მღვერის კაცი ქართუწლები წაეჰარებოდნენ და დიდს ვნებას აძლევდნენ იმათ, მაგრამ ლეკი ტყეში მაგარია, რაკი ბინას მოიკიდებს, თავის ნებით აღარ გავა იქიდგანა, საიდგანაც ჩუმათ გამოდიოდნენ და სცემდნენ საქართუწლოს. იმ ტყის სიმაგრეებში ჩამდგარი წვრილწვრილი ესე ნაგლეჯები დიდს ვნებას აძლევდნენ ქართუწლებსა, ამიტომ რომ აღარ იყო იმათგან მოსუწწნება და ყოუწლი ქართუწლი შეიარაღებული იყო დღე და ღამე შეკრული. როგორ იქნებოდა, ტანისამოსი არ გაეხადათ, საცუალი მაინც არ გამოეცუალათ, ანუ ცეცხლზე არ დაებერტყათ, მაგრამ ძალიან ცოტას ხანს. ისევ საჩქაროთ უნდა ჩაეცოთ. უეც-

რათ მდევარი არ დაეძახათ, რომ მდევარში არ დაგვიანებულიყვნენ, რ~ლისაცა ამის რამდენიმე მაგალითები მოვიტანოთ, უფრო კარგათ დავინახამთ მაშინდელს დროსა.

პირუჭლი. შუადღის შ~დგ ქ. ტფილისის ავლაბრის მხარეს

— 20 —

სადაც ეხლა რიყეზე მცხოვრებნი დგანან \*), იქ მტკუარის პირზედ მჩითავებსა ჩითები ჰქონდათ გაფენილი და წყალით თურმე ნამავდნენ. ამ დროს ჩუღურეთისა და ავლაბრისა შუა ხევიდგან დაქვეითებული ლეკები წამოუპარნენ, უნდოდათ მჩითავები დაეჭირათ, მაგრამ ისინი საჩქაროთ მტკუარში გამოცურდნენ და ამით მოირჩინეს თავი. ამაზედ ერთი ძახილი და ერთი ყოფა შეიქნა ქალაქიდგან. არიქა მდევარი, მდევარიო. ლეკებმა მჩითავები რომ ვეღარ მოახელეს, ჩითები დაიტაცეს და გაიქცნენ რაც შეეძლოთ დიახ ჩქარა. დაქვეითებული ლეკი ცხენიანს მდევრის ქართუჭლს სადღა წაუვიდოდა, იქვე მახათას იქით მოასწრეს, ზოგი დახოცეს და ზოგი ტყუჭთ წამოიყუანეს. ეს ამბავი სწორეთ მეფის ირაკლის სასახლისა პირდაპირ მომხდარა. აი ასე გაკადნიერებული ყოფილან ლეკები, რომ სიკვდილისაც აღარ ეშინოდათ არსად, ასე მოდიოდნენ საქართუჭლოზედ!

მეორე. რ~ლიმე დაუდევნელი ქართუჭლი თავადი ვახშმის შ~დგომ გამოვიდა კარზე ფარალათათ ახალუხა მასკვლავებიანს ღამეში, დადგა ლოცუაზედ და ღ~თს ევედრებოდა (უწინ ჩუჭულობა ჰქონდათ, ბევრი კარზე ილოცავდა ვახშმის შ~დგომ თუ გათენებისას). ყუჭლას ეძინათ იმის ცოლის მეტსა. ამ დროს ლეკები მიეპარნენ, პირი აუხვიეს და მოინდომეს წაყუანა, იცოდნენ, დიდს ფულს გამოართმევდნენ. იმის ფორთხალში იმის ცოლი გამოვარდა ხანჯლით ფეხშიშუელა, ნახა, რომ იმის ქმარსა ეხუჭვიან წასაყუანად, დაიკვილა: გვიშუჭლეთ, ლეკებო. ამასთანვე გაშიშვლებულის ხანჯლით მიუარდა, ორი ლეკი მოკლა და თავისი ქმარი გამოიხსნა. ამ ქალის დაკვივლებაზედ მთელი იმათი სახლეულობა გამოცვივდნენ, იმათი სოფლებიდგანაც სულ ერთიან, მაგრამ მანამდისინ ლეკებმა თავი მოირჩინეს, საითკენ რ~ლს მხარეზედ წავიდნენ, ვეღარა გაიგეს რა.

ეს არაფერი. შეხედავდით ერთი ბაირახის ასი კაცი ანუ ასზე მეტი ერთის მხრიდგან მოდიოდა საქართუჭლოზე, მეორეს მხრიდგან ორი ბაირახის კაცი, მესამეს მხრიდგან სამი ბაირახის კაცი და შ~დგნი უფრო ბევრნი. ამ ნაწყუჭტ ნაწყუჭტის ბაირახის ლეკებით

---

\*) მეფის ირაკლის პირუჭლს მეფობის დროებში ავლაბარში და ჩუღურეთ კუკიაში აყრილი ყოფილა მაშინ ხალხი.

— 21 —

სავსე იყო საქართუწლო, როგორც კალიებსავით და გუნდგუნდად დასტრიალებდნენ საქართუწლოს. ახლა ამისი მაგალითებიც მოვიყვანოთ დასანახათ.

პირუწლი. ყაფლანიანთ ჩუწნს ფიტარეთის სოფელს ცხრა ბაირახების ლეკის ჯარი შემოადგა უეცრათა, რწლნიცა დაემურნენ, მდევარმა არ მოგუასწროსო. იმ ღამესვე ერთმანეთში თვთო მასრა წამალი მოკრიფეს და ხანჯლებით ამოთხრილს გალავნისა ძირში შეაყარეს დიახ ფთხილათ და გათენებისას კი ცეცხლი მისცეს, რწლმაცა ერთი მხარე კედელი ჩამოაქცია. ამასთან იჟივლეს ლეკებმა, ხმალდახმალ შიგ შეცვივდნენ. თუმცა შიგნით ძალიან ჯელი გამოიღეს ქართუწლებმა, ასე გასინჯეთ დედაკაცებმაც ხანჯლებითა და თავი იზღვიეს, მაგრამ გაჯავრებულმა ლეკებმა ბოლოს დასძალეს ფიტარეთელები. დიდი და პატარა ასე ამოწყვიტეს, რომ ერთი ცოცხალი აღარ გაუშუწს. ჩუწნი სასაფლაო ხომ რასაკვირელია აიკლეს, ის იმისი იმთენი სიმდიდრე და დიდის დავლით ოსძალოსკენ წავიდნენ დიახ ჩქარა, კიდეც მდევრისა ეშინოდათ. სამხრობის დროსა მდევარიც მოვიდა, მაგრამ სავალალოს მეტი ველარა ნახესრა.

მეორე. გორიდგან წამოსული მეფე ირაკლი მოემურებოდა ოცის ცხენიანის კაცით საჩქაროთ ქალაქში ჩამოსულიყო. ამ დროს როდესაც ჭალას დაუახლოვდნენ, ორი ბაირახის ლეკი გამოვიდა ტყიდგან და ამათზე წამოვიდნენ მინდურად. ლევან ბატონიშვილიც იმ დროს იქ ხლებია მამას მეფეს და ოთხი ზალიც თანა: თწა ზაალ ენდრონიკაშვილი (კუზიანი), თწა ზაალ ბარათაშვილი (დიანბეგი), თწა ზაალ \*) მაჩაბელი (ბოროტი) და თწა ზაალ ორბელიანი (ყაფლანიშვილი). თურმე მეფე ირაკლი იტყოდა ამ ოთხის ზაალისას: ოთხი ზაალი ჩემთან რომ იყოს, ოთხი ათას მტერსა არ დავერიდებო. ასეთი გულოვანი ვაჟკაცნი ყოფილან ეს ოთხნი, მაგრამ ბოლოს ზაალს ორბელიანს მეფის ირაკლი ღალატი შემწნეცია, რწლსაცა დაუჭერინებია და კარგა ხანი ხუნდ ქუწმ ჰყოლია დაჭერილი. ამაზე რაღა გავაგძელოთ ესენი დამდგარან და რჩევა უკითხამს მეფეს, რა ვქნათო? ზოგს რა უთქვამს და ზოგს რა. მასუკან ლევანისთვს უკითხამს: შენ რაღას იტყვო. იმას მოუხსენებია: თუ თქუწნ

---

\*) დედანში შეცდომით სწერია: ზააზა.

აქ არა ბძანდებოდეთ, მე ვიცი რასაც ვიქმოდი, მაგრამ თქუწნ რომ აქა ბძანდებით, მე აღარა მეთქმის რა. მეფემ მეტის სიამოვნით გაიცინა და მასუკან მიუბრუნდა იმათ: ამ წუნკალებზედ თოფი რომ გავცალოთ, სირცხვილი არ არის ჩუწნთვს? ეხლავ ჩახმახიდგან წამალი გადაუყარეთ თოფებს. მაშინუწ გადუყარეს, ამას-

თანვე დაისუფლს ხმლებს ჳელი და შუა ლეკებში დაეძგერნენ, რ~ლთა-  
ცა იმ წამსვე მოშალეს იმათი დასი და წინ წაიყარეს. მეტი გაიქ-  
ცა, ტყეში შეცვივდნენ, სხუა ზოგი დახოცეს, ზოგი გადაკინძული  
ტყუჭთ წამოიყუანეს და გამარჯუჭბული წამოვიდნენ. უფროსი  
ერთს შემთხუჭვამი ყოუჭლი ცოტა ქართუჭლი სულ ასე ომობდა.  
წახდებოდნენ თუ დაამარცხებდნენ, არას დასდევდნენ. დრო იმისთა-  
ნა იყო, რომ უთუოთ ასე უნდა ექნათ, ამისთჳს რომ ამით უფრო  
სტებდნენ და თუალებს უბამდნენ საქართუჭლოში სამსეს მტერსა.

მესამე. ბატოიშვილი ლევან სამშაფათის აბანოში იყო რამდენ-  
სამე არჩეულის ამალითა \*). ამ დროს მეფეს ირაკლის კაცი მოუვი-  
და: საგურამოს ტყიდგან ლეკის ჳარი წამოვიდა, ავჭალაზედ მო-  
დიან, უნდა წახდინონ. ლევან მაშინვე გამოვარდა, იმის ამალაც  
თან გამოჳყვა და სირბილით კუკიაში გავიდნენ გზაზე ტანისამოსის  
ჩაცმით, სადაც შეკაზმული ცხენები და იარაღი შოართუჭს, რ~ლე-  
ბიცა სულერთიან და საჩქაროთ გასწიეს. რა გლდანისა მხარეს გა-  
ვიდნენ, იქ ექუსასი ლეკი დაინახეს ავჭალაზე მომაუალი ექუსის  
ბაირახით. ბატოიშვილმა ლევან ბძანა: მამიჩემის მეფის ბაირახი გა-  
შალეთო \*\*). იქიდან ბელადმა დურბინდში გამოიხედა და მეფის  
ირაკლის ბაირახი რომ დაინახა, დაიძახა: ის ძახლი ერეკლე აქ  
არისო. ამობაში ქართუჭლები კიდევ დაერივნენ და გამარჯუჭ-  
ბული ბევრის ტყუჭბითა ქალაქი შემოიარეს. დიდი და პატარა ბა-  
ტოიშვილი ლევანის დღეგრძელობას ღ~თსა სთხოვდნენ გულმხურ-  
ვალედ, მაგრამ ღმერთმა არ შეისმინა ქართუჭლების საუბედუროთ.

ამ ამბებში შახედავდით, რომ ოსმალოს მხრიდგან დიდი ჳარი

---

\*) მეტი კარგი ამალა ჳყოლია, ორი ათასამდის არჩეული ქართუჭლი  
უცხონი მორთულნი ბედაურის ცხენებითა და თავგადადებული ვაჯკაცნი სულ  
თავის ხნის ყმაწვილი კაცები.

\*\*) როდისაც ლევან მოესწრა, მეფე ირაკლიმ თავის ბაირახი იძას  
მისცა.

გამოვიდა საქართუჭლოზე. ეს კიდევ არაფერი. შეხედავდით, რომ  
ქარბელაქნის მხრიდგან უფრო ბევრი. ეს კიდევ არაფერი. ზოგჯერ  
და ზოგჯერ ხანების ჳარები რომ წამოესეოდნენ თავის ხანებით და  
ერთიან საქართუჭლოს დანთქმას უპირებდნენ, ის კიდევ არაფერი  
სპარსეთის ჳელმწიფეები დიდრონის ჳარებით რომ წამოვიდოდნენ და  
მთელი საქართუჭლოს ჩაყლაპა უნდოდათ, როგორც ვეშაპს პატა-  
რა ბატკანი.

ეს ამდენი უსაშინელესი ამბები სულ მეფეს ირაკლის და იმის  
ქართუჭლებსა აწუათ კისერზე, მინამ მეფე ირაკლი მოკვდებოდა.  
ამას ასე ვანზობ, მაგრამ ტანში კი ჳრიალი მივლის იმ ამბების სა-  
შინელებით. წარმოიდგინეთ ის გარეთი იმთენი მოსეულობა, იმთე-  
ნი მტრები, ის იმთენი დაცემულობა ვერას უზამდა ირაკლის და

იმის ქართულობასა, თუ ის დაფარული მტრები არა ჰყოლოდათ. იმ დაფარულმა მტრებმა მეფის ირაკლის ოჯახი დააქციეს და საქართულოც საფუძულობზე დაიყუანეს.

აბა ახლა ამისი პასუხი მამეცი კეთილგონიერო და დიდსულოვანო, მართალო კრიტიკო, იმ ჩუწნი მამაპაპების იმდენის მამულს მსხუწრპლისთვისა; ერთობ იმათი შვილები ანუ შვილისშვილები დიდი პატივისცემის ღირსნი არიან თუ არა, ანუ საუკეთესო დიდი ჯილდოსი?

სიმართლეო, იმედი მაქუს, შენ ამას არ დაიდუმებ, ერთს დროში ამაზედ მართაღს დაიძახებ...

დეკემბერს 1865-სა წელსა  
ქ. ტფილისს.

ეს ნაწარმოები თ-დ ალ. („პუპლია“) ორბელიანისა სხვა მის ნაწერებთან ერთად დაცულია წერაკითხვის საზოგადოების წიგნთსაცავში. ამ გამოცემაში სტილი და მართლწერა ავტორისა დაცულია უცვლელად.